ბრძანება

ქ. თბილისი

N 2468-03
27/08/2020

რექტორის 2020 წლის 13 აგვისტოს N2226-03 ბრძანებაში ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020–2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სამაგისტრო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, სწავლის გაგრძელების მსურველთა რეგისტრაციის ვადების, საუნივერსიტეტო გამოცდების თარიღებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 56-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილს №227 ბრძანებით დამტკიცებული ,,სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ” 29-ე, 30-ე და 32-ე მუხლების საფუძველზე, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 27 აგვისტოს N7651-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1.შევიდეს ცვლილება რექტორის 2020 წლის 13 აგვისტოს N2226-03 ბრძანების მეორე პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტში, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველ მაგისტრანტობის კანდიდატთა ელექტრონული რეგისტრაცია მითითებულ ბმულზე https://argus.iliauni.edu.ge/ka/registration/masters გაგრძელდეს 2020 წლის 28 აგვისტოს ღამის 00:00 საათის ჩათვლით და ,,ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა)მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი - 2020 წლის 28 აგვისტოს ღამის 00:00 საათის ჩათვლით;

2. ამ ბრძანების შესრულებაზე პასუხისმგებლობა დაეკისროს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს;

3. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს და უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოთ ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა დაინტერესებულ პირთათვის;

4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, უნივერსიტეტის კანცელარიას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეებს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, განვითარების სამსახურს, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს, ბიბლიოთეკას, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების სამსახურს და ყველა დამხმარე ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს.

გიგა ზედანია

რექტორი